Junior Eurovision Song Contest Georgia 2017

კრეატიული კონცეფციის ბრიფი

პროდუქტის შესახებ

მარიამ მამადაშვილი - 2016 წლის საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებული

საბავშვო ევროვიზიის კონკურსი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სიმღერის კონკურსია, რომელიც 2003 წლიდან ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ტარდება. 10-15 წლის ბავშვებს ეძლევათ უნიკალური საშუალება გამოავლინონ საკუთარი ნიჭი და საუკეთესო კუთხით წარადგინონ მშობლიური ქვეყანა.

2017 წელს საბავშვო ევროვიზიის სიმღერის რიგით მე-14 კონკურსი საქართველოში გაიმართება!

უკვე 10 წელია, რაც საქართველო იღებს მონაწილეობს ამ კონკურსში. მილიონობით სატელევიზიო და ვებ მაყურებლის წინაშე, კონკურსანტები სიმღერებს ცოცხლად ასრულებენ. შოუს გამარჯვებულს ავლენს კომპეტენტური ჟიური.
ჩვენი ქვეყანა ერთადერთია საბავშვო ევროფესტივალის ისტორიაში, რომლის წარმომადგენელმაც ფესტივალზე სამჯერ გაიმარჯვა, რაც რეკორდული მაჩვენებელია.

ყოველწლიურად საბავშო ევროვიზიის სიმღერის კონკურსის ექსკლუზიური ტრანსლატორი საზოგადოებრივი მაუწყებელია, რომელიც 2005 წლიდან ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრია.

ევროპასთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედების ფონზე, საბავშვო ევროვიზია ხელს შეუწყობს საქართველოს ევროპულ ოჯახში სრულფასოვანი ინტეგრაციის პროცესს.

პროექტის მიზანი

2017 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსის მიზანია საქართველოს, როგორც მასპინძელი ქვეყნის საერთაშორისო დონეზე წარდგენა, მისი უნიკალურობის, მრავალფეროვნების, ტურისტული პოტენციალისა და კულტურული იდენტობის მსოფლიოსთვის გაცნობა.

ჩატარებულმა კონკურსმა უნდა დაამტკიცოს, რომ საქართველო მზადაა შეეჭიდოს მასშტაბურ გამოწვევებს და კიდევ უფრო მაღალ დონეზე აწიოს საბავშვო ევროვიზიის სტანდარტი.

შემოქმედებითი კონცეფცია

“Break the Ice” - ამსტერდამის 2012 წლის საბავშვო ევროვიზიის კონცეფცია

ტრადიციულად, ყოველი მასპინძელი ქვეყანა საბავშვო ევროფესტივალისთვის ქმნის საკუთარ შემოქმედებით კონცეფციას, რომელიც ოფიციალურ სიმბოლოსა და სლოგანში აისახება. კონცეფციის განვრცობა ასევე ხდება კომუნიკაციაში და სცენის დეკორაციაში.

შემოქმედებითი კონცეფცია უნდა იყოს ქვეყნის გზავნილი საერთაშორისო აუდიტორიისთვის. კონცეფციაში გათვალისწინებული უნდა იყოს ის, რომ კონკურსი საბავშვოა და მასში ბევრი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე მონაწილეობს.

2014, 2015 და 2016 წლების საბავშვო ევროვიზიის კონცეფციები

პარალელურად - დიდების ევროვიზია 2017, კიევი



https://www.youtube.com/watch?v=aj0fSkzEQXM

დავალება

2017 წლის ევროვიზიის საბავშვო კონკურსის შემოქმედებითი კონცეფცია,სლოგანი (ინგლისური და ქართული) და სიმბოლო.

- შემოქმედებითი კონცეფცია
- სლოგანი უნდა გამომდინარეობდეს კონცეფციიდან, იყოს მოკლე, მარტივი, დასამახსოვრებელი და გასაგები ყველა ქვეყნის გულშემატკივრისათვის. ერთნაირად კარგად ჟღერდეს ქართულად და ინგლისურად.
- სიმბოლო უნდა გამომდინარეობდეს კონცეფციიდან და ერწყმოდეს ლოგოს უცვლელ ელემენტს.

Junior Eurovision
SONG CONTEST
GEORGIA 2017

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალები (სიმბოლო და სლოგანი) შემდგომ გამოყენებული იქნება:

- მარკეტინგულ მასალებში
- პროექტის საკომუნიკაციო სტრატეგიაში
- სატელევიზიო შეფუთვა (ფონები, პლაშკები, ტიხრები...)
- ვიდეო ბარათები (10-18 ვიდეორგოლი, სადაც ხდება სხვადასხვა ქვეყნის მონაწილეების წარდგენა)
- კონკურსის ჰიმნში
- ფინალური კონცერტის დეკორაციაში
- კონკურსის მთავარი პრიზი
- სასაჩუქრე ატრიბუტიკაში (საჩუქრები მონაწილეთათვის, პრიზები... და ა.შ.)

ვადები და პირობები

ნამუშევრების წარდგენის ბოლო ვადა: 2017 წლის 3 აპრილი - 13:00 საათი

საბოლოო გამარჯვებულის არჩევა: გამარჯვებულს გამოავლენს სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში შექმნილი - სამუშაო ჯგუფი

მადლობა